



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №31

2018 წლის 25 აპრილი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მათზე საიჯარო ქირის საფასურის დადგენის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე-გ” ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას პირდაპირი გზით მოახდინოს:

ა) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუშში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N366-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილის, კერძოდ 100 კვ.მ ფართის (ს/კ 05.35.26.032) სარგებლობაში გადაცემა მოქალაქე ნაზიბროლა ვარშანიძეზე.

ბ) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ განთიადში მდებარე 4262 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილის, კერძოდ 20 კვ.მ ფართის (ს/კ 22.21.10.681) სარგებლობაში გადაცემა მოქალაქე ნუგზარ ნაგერვაძეზე.

2. დადგინდეს ქ. ბათუშში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N366-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 05.35.26.032) 1 კვ.მ ფართის თვიური საიჯარო თანხა 4 ლარი და 60 თეთრის ოდენობით, ხოლო სოფელ განთიადში მდებარე 4262 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.21.10.681) 1 კვ.მ ფართის წლიური საიჯარო თანხა 3 ლარი და 71 თეთრის ოდენობით;

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ქონების სარგებლობის ფორმით გადაცემის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი დონისძიებების განხორციელება;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი #358) კანონმდებლობით დადგენილი წესის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



მადიმ ვარშანიძე